# პრივატიზების მაცნე

№ 18

12-18 აგვისტო, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

ინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი | გამოდის 1993 წლიდან | ფასი 50 თეთრი




## რა ვერ გაიგე, ნოდარ?..

### საკომიტეტო მოსმენა ქუჩურ-სუფრულ დიალოგში გადაიზარდა

გვ. 2



## ნომერშია:


ბიუჯეტის შემოსავლებმა დაგეგმილს 1%-ით გადააჭარბა

საქმეში იაპონელებიც ჩაერთვნენ

გვ. 3

№45 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

გვ. 4

პრივატიზებულია-მოქმედებს

გვ. 5


## „საუკუნის პროექტი" შეიძლება სასამართლო განხილვის საგნად იქცეს

ამ დღეებში თბილისში იმყოფე-[ბო]და აზერბაიჯანის საერთაშორისო [ოპ]ერაციო კომპანიის დელეგაცია, [რ]ომელსაც პრეზიდენტი ტერი ადამ-[სი] ხელმძღვანელობდა. სტუმრები [სა]ქართველოში ბევრ ოფიციალურ [და] არაოფიციალურ პირებს შეხვდ-[ნენ], იყო პრესკონფერენცია ჟურნალ-[ისტ]ებთანაც. უნდა აღინიშნოს, არავის [არ] უთქვამს ბატონი ადამსისათვის, [რატ]ომ გადაწყდა, რომ ქართული [გზ]ა 12-ჯერ ნაკლებ "გასამრჯე-[ლო]ს" იღებს ნავთობის გატარებაში, [ვი]დრე რუსული. ამის მიზეზი (არაქ-[ტ]ის) მრავალია. ზოგიერთ ოფიციალ-[ურ] პირს არ უნდა თავისი ბედოვლა-[თ]ობა (თუ ეს ბედოვლათობაა და [სხ]ვა არაფერი) კიდევ ერთხელ [და]აფიქსიროს. ზოგი იქნებ ამ გარი-[გ]ებით გვარიან ლუკმასაც ელოდება [(უ]კვე მიღებული თუ არა აქვს), [ხ]ოლო რაც შეეხება ჟურნალისტებს, [მ]ოვერიდა კიდევ ერთხელ არ შეგ-[ვ]ეხსენებინა სტუმრებისათვის, რომ [ს]აქართველოში ფულის გულისთვის ["ს]აუკუნის პროექტს" კი არა, საკუ-[თ]არ დედ-მამასაც გაყიდის კაცი.

[ე]რთი სიტყვით, იმ საკითხზე, რა-[ზე]ც მას-მედია და ყველა ჭეშმარიტი [ქა]რთველიც განგაშის ზარს უნდა რეკ-[დ]ეს, პირში წყალი ჩავიგუბეთ და [ვ]აჩვენეთ, რომ "ჩურბანები" ვართ [და] არაფერი გაგვეგება. რას იზამ, [თ]ავს ზემოთ ძალა არაა. ისე კი, [სა]თქმელი მართლაც ბევრი გვქონდა.

[და]ახლოებით წელიწადნახევრის [წი]ნ ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის [ნა]ვთობის საოპერაციო კომპანია, [რ]ომელმაც იკისრა კასპიის ზღვიდან [ნა]ვთობის ამოღება და დასავლეთში [გა]ტანა. ბუნებრივია, საჰაერო გზით [ამ]ის გაკეთება შეუძლებელი იქნებო-[და] (წელიწადში 13 მლნ ტონამდეა [ა]მოსაღები). ამიტომაც შეირჩა რამ-[დ]ენიმე სავარაუდო სახმელეთო [ვ]არიანტი.

1. კასპიის ზღვა — რუსეთი [(ნ]ოვოროსიისკი) — ევროპა.

2. კასპიის ზღვა — საქართველო — თურქეთი-ევროპა.

3. კასპიის ზღვა— სომხეთი — თურქეთი — ევროპა..

4. კასპიის ზღვა — ირანი — ევროპა.

მეოთხე ვარიანტი ფაქტიურად იმ წუთშივე გამოირიცხა, რადგანაც სულაც არ აპირებს თავის უპირველეს მტერს — ირანს ასეთი ძლიერი კოზირი მისცეს. ასევე წარმოუდგენელი იყო სომხეთის გზაც. მაშინ როცა სომხეთს, აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% დაპყრობილი აქვს, აზერბაიჯანი იმ ტოტს არ მოჭრის, რომელზეც თვითონ ზის. ბაქო ამ პროექტიდან ათეულობით მილიარდ დოლარს ელის. როგორც კი სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიული დავა განახლდებოდა, სომხეთში "შემთხვევით", "უცნობი პირების" მიერ აფეთქებოდა მილსადენი და ეკოლოგიური მოსაზრებებით გაურკვეველი ვადით ნავთობის მოპოვება შეწყდებოდა. ამას კი აზერბაიჯანი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა. ერთ-ერთმა ქართველმა ოფიციალურმა პირმა, რომელიც ტამისკვრით შეხვდა საქართველოსათვის მიზერულ შემოსავლის დაკანონებას, განაცხადა, რომ როცა ასეთი მნიშვნელობის პროექტები იგეგმება, მოსისხლე მტრები რიგდებიან ხოლმეო. კი ბატონო, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მხარისთვის რეგიონში თავისი ინტერესის გატარების ყველა გზა

(დასასრული მე-2 გვ.)

სტენლი ფიშერი:

## „თქვენს გვერდით დავრჩებით"

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის საქართველოში სტუმრობა უკვე არავის აკვირვებს. მიზეზი ყველასათვის გასაგებია: სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი კრედიტების მეშვეობით მოხერხდა ჰიპერინფლაციის შეჩერება და გარკვეული ეკონომიკური აღმასვლა. ფონდის მეოთხე ევროპული დეპარტამენტის სამხრეთის განყოფილების უფროსის მოადგილე შადმან ვალავის ვიზიტები კი იმდენად ხშირია, რომ ქალაქში უკვე ჭორები გავრცელდა: ვალავი ქართველია, ბავშვობაში მადიმანი ერქვა, შემდეგ ისლამი მიაღებინეს, ახლა კი ცდილობს თბილისში ჩაწერა "გაახერხოს" და სამშობლოში დარჩესო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. თუმცა კი, სანამ სტუმრები აეროპორტში დაფრინდებოდნენ ხუმრობის თავი ბევრს არ ჰქონდა, და აი რატომ...

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ბატონ შადმანთან ერთად ჩამოდიოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე სტენლი ფიშერი. მკითხველს უკვე მოეხსენება ვალავის უკანასკნელი ვიზიტის დროს ზოგიერთმა ქართველმა მეწარმემ (შემდგომში "წითელ დირექტორებად" წოდებულებმა) როგორ შეარცხვინა თავისი თავიც და ქართული სტუმართმოყვარეობაც და როგორ მიუჯახუნეს ცხვირწინ კარები უცხოელს. სათქმელი მიზეზი წინასწარ კარგად ჰქონდათ მოფიქრებული: სსფ მეწარმეობას ახრჩობს და იმპორტის შემოსვლას უწყობსო ხელს. ერთ-ერთმა კი ისეთი ეკონომიკური სიბეცე გამოიჩინა, რომ მოითხოვა, საერთოდ აეკრძალოთ უცხოური საქონლის საქართველოში შემოტანაო. ვისაც არ უნდა ჩვენი, უმეტეს შემთხვევაში, წყალ-წყალა ლუდი და ნესტიანი სიგარეტი იმათ რა ქნან. არა აქვს რიგით ქართველს უფლება კვირაში ერთხელ მაინც იგრძნოს თავი ადამიანად? მათ რა ენაღვლებათ. "უიკენდზე" "გავლენ" საზღვარგარეთ და კარგი ნაჭამ-ნასვამები და ჩაცმულ-დახურულები დაბრუნდებიან. "აჯანყებულები" მეწარმეობის მომხრჩობად მაღალ საგადასახადო განაკვეთებს ასახელებენ. სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე ერთ-ერთმა მათგანმა მაღალი ტრიბუნიდან დაიჩივლა:

— საგადასახადოს უკანასკნელი თეთრი მიაქვს და საწარმოს ახალი ტექნიკით აღჭურვისთვის თანხა აღარ მრჩება.

არც არასდროს დაგრჩებათ. ეს ბატონი ერთ-ერთი უკანასკნელი მოდელის "მერსედესით" დაბრძანდება. (დაინტერსებულ პირებს მანქანის სერიასა და ნომერსაც გავუგებთ) "აუდიზე" ნაკლებს არც სხვები კადრულობენ. როგორც კი პატარა მოგებას ნახავენ, იმ წუთში "საყიდლებზე" გარბიან. თავს ნებას მივცემ და ერთს ვურჩევ მათ, (რა თქმა უნდა უფასოდ). 40-50 ათას დოლარიანი "ინამარკებიდან" 4-5 ათას ლარიან "ჟიგულებზე" გადაბრძანდით და ქარხანასა თუ ფაბრიკაში დასაბანდებელი 40 ათას დოლარამდე ნაღდი ფული თქვენს წარმოებასაც წაადგება და სამათხოვროდ ან საჩივლელად სიარულით თავმოყვარეობასაც არ შეილახავთ.

მგონი, ცოტა გადავუხვიეთ.

ვალავისთვის მოწყობილი ობსტრუქციის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ სსფ "გაცივდებოდა" საქართველოსთან მიმართებაში. ვარაუდმა არ გაამართლა. სტენლი ფიშერმა თავისი სამდღიანი ვიზიტის

(დასასრული მე-2 გვ.)



## ემირ ჯულელი დარგობრივი სამინისტროების წინააღმდეგ

გვ. 3

## ნომერშია:


დოლარის კურსი დაცემას განაგრძობს

ძირითადი საბირჟო საქონელი მსოფლიო ბირჟაზე

გვ. 7

კროსვორდი

დემოკრატიისა და განვითარების ფონდი გიწვევთ სამუშაოდ

პალიტრა

გვ. 8


## ნომერშია:

# „რა ვერ გაიგე ნოდარ?..“

## საკომიტეტო მოსმენა ქუჩურ-სუფრულ დიალოგში გადაიზარდა

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში ჩატარდა საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის მოსმენა, რამაც მთლიანობაში ექსცესების გარეშე ჩაიარა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მოსმენის დაწყება თხუთმეტიოდე წუთით გადაიდო და დარბაზში რამდენიმეჯერ გამოირთო სინათლე.

პირველი მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი ბ-ნი დავით იაკობიძე. მან განაცხადა, რომ ამ პერიოდში მიმდინარე დაფინანსების მიხედვით ბიუჯეტის ხარჯმა სამხედრო სფეროში შეადგინა 95%, სოფლის მეურნეობაში 50%, ხოლო კულტურისა და განათლების სფეროებში 90%-მდე. რაც შეეხება საერთო შემოსავლებს, საშემოსავლო გადასახადის გეგმა 111%-ით, მოგებიდან გადასახადის მიხედვით მხოლოდ 49,9%-ით, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი 89%-90%-ით შესრულდა, რაც ძირითადად ზამთრის პერიოდში საწარმოების მუშაობის კრიზისული მდგომარეობით იყო განპირობებული. შედარებით რთული მდგომარეობაა აქციზების გადასახადებზე. აქ, გათვალისწინებული 7 მლნ ლარის ნაცვლად გადახდილია 3 მლნ ლარი (37%). ხოლო რაც შეეხება არასაგადასახადო გეგმას, 11 მლნ დოლარის მაგივრად ბიუჯეტში შემოვიდა 13 მლნ დოლარი, კაპიტალური გადასახადების მიხედვით გეგმა შესრულდა 446%, გათვალისწინებული 1, 5 მლნ ლარის ნაცვლად ბიუჯეტი შეივსო 6 მლნ ლარით.

როგორც ბატონმა დავითმა განაცხადა "გეგმის შესრულებლობა აღინიშნება იმერეთის რეგიონში, რაც შეეხება ტიპიური სოფლის მეურნეობის რაიონს, საჩხერეს, აქ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია".

ექვსი თვის გეგმა შეასრულეს აგრეთვე კახეთის, შიდა ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის რეგიონებმა.

რთული მდგომარეობაა სამეგრელოს მხარეში, კერძოდ, მარტვილის რაიონში, მაგრამ მთლიანობაში ამ რეგიონშიც აღინიშნა გეგმის შესრულება, ამის მაგალითია ხობის რაიონი.

ტერიტორიების თვალსაზრისით განხილვისას არ შეიძლება ითქვას, რომ ცუდი მუშაობა იყო და პრინციპში მათი მონაცემების ანალიზი დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა.

შემდგომ ფინანსთა მინისტრმა განიხილა ბიუჯეტის ხარჯვის მდგომარეობა. კერძოდ სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე დაგეგმილი 10 მლნ ლარის ნაცვლად დაიხარჯა 9 მლნ ლარი, განათლებაზე 8 მლნ (ნავარაუდები იყო 9 მლნ), ხოლო მედიცინაზე 5 მლნ ლარის მაგივრად 4,7 მლნ. კულტურის სფეროზე, ჯანდაცვაზე, სპორტზე, სოციალურ დაცვაზე, ლტოლვილების შენახვაზე, თავდაცვის სამინისტროს, საკანონმდებლო ორგანოების დაფინანსებაზე შესაბამისად დაიხარჯა 91%, 98%, 89%, 90%, 100%, 94%, 90%.

საბოლოოდ ბატონმა დავითმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში ბიუჯეტის დავალიანება აქვთ: რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, თამბაქოს კომბინატს, ჭიათურის მარგანეცის გადამამუშავებელ კომბინატს, მაუდ-კამვოლის ფაბრიკას და სხვ. ამავე დროს შედარებით კარგი გადამხდელები არიან: საქენერგო, თელასი, სატელეფონო კავშირგაბმულობა და სხვ.

საკომიტეტო მოსმენაზე აღინიშნა ერთი ფაქტორი: ტერიტორიული ბიუჯეტი ხშირად აჭარბებს ადგილობრივს. ფულის გასვლასა და შემოსვლასთან დაკავშირებით, თანხების შეჩერება ხდება ბანკების მიერ. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ზოგიერთ ბანკთან, კერძოდ წარმატებით დამთავრდა შეთანხმება "ახალ ქართულ ბანკთან".

შემდეგ მოსმენამ ქუჩურ-სუფრული ხასიათი მიიღო. ბატონმა ნ. ჯავახიშვილმა ფინანსთა მინისტრს ორჯერ ერთი და იგივე კითხვა დაუსვა (პასუხმა არ დააკმაყოფილა ფოთის ტერმინალთან დაკავშირებით), რამაც ბატონი იაკობიძე გააღიზიანა ... ერვიულა და ფრთოსანი ფრაზა წამოისროლა: "რა ვერ გაიგე ნოდარ, არ მომცეს...."

აქვე ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ აპირებს საფინანსო-საკონტროლო დეპარტამენტის შექმნას, რამაც ბატონ დავითსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ზურაბ დვალს შორის დისკუსია გამოიწვია იმის შესახებ, თუ ვინ სად აპირებს კონტროლზე მესვლას, რომელიც ქვეყნის "პირველი ფინანსისტის" სიტყვებით დასრულდა: "სხვის საქმეში როგორ ჩავერევი, ჩემსას ვერ ვუვლი ბოლომდეო".

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოსმენაზე მოხსენებით გამოვიდა ასევე ეკონომიკის მინისტრი ბატონი პაპავა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსმენელები დარბაზში თითქმის აღარ იყვნენ, ბატონ ლადოს ხანგრძლივი სიტყვის წარმოთქმის სურვილი დაეკარგა. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეიმჩნეოდა საგარეო ვაჭრობის გააქტიურება. საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა 68 ქვეყანამ. რაც შეეხება მრეწველობის დარგის განვითარებას, აქ წარმოებულია 26,7 მლნ დოლარის პროდუქცია, რაც წლიური გეგმის 10,4 %-ს შეადგენს.

ენერგოსისტემებთან დაკავშირებით ითქვა, რომ მთლიანად გამომუშავებულია დაახლოებით 3 მლრდ. 365 მლნ კვტ. ელექტროენერგია, ორჯერ გაიზარდა მიწოდებული ელექტროენერგიის ანაზღაურება და 44% შეადგინა.

საქნავთობის მიერ მოპოვებულია 30000 ტონა ნავთობი. ივნისის თვიდან შეჩერებულია ქვანახშირის წარმოება, რაც მთელი რიგი ქარხნების ძირითადი ნედლეულია, ამის გამო მძიმე მდგომარეობაა შექმნილი რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში.

შემდგომ, საფინანსო-საბიუჯეტო მოსმენაზე, სიტყვით გამოვიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც ძირითადად შეეხო ეროვნული ბანკისათვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის საკითხებს. გამოყოფილი 112 მლნ ლარიდან ბიუჯეტზე გაცემულია 87 მლნ. მისი სიტყვებით, დაგეგმილი პროგრამა სწორად ხორციელდება და ბანკიდან უკვე ათვისებულია წლიური კრედიტის 77%. დარჩენილია 25 მლნ. ლარი და ამ საკითხზე უკვე მუშაობს მსოფლიო სავალუტო ბანკის მისია.

შემდეგ მოხსენება გააკეთა კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-მა ზურაბ დვალმა. მან



ზაზა სიორიძ...

ძირითადად ისაუბრა კონტროლის პალატის მუშაობის შესახებ რეგიონ... ების ბიუჯეტების კონტროლთან ... რევიზიასთან დაკავშირებით. მის სიტყვებით დღესდღეობით მა... მუშაკები მუშაობენ ფინანსთა სამ... ისტროში, სადაც ხდება ყოველი მიღ... ბული ინფორმაციის ანალიზი.

ბატონმა ზურაბმა თავისი გა... მოსვლის ბოლოს აღნიშნა: "ჩვე... აქცენტს ვაკეთებთ ბიუჯეტზე და მ... ოლოდ პრეზიდენტის ბრძანებებ... ვასრულებთ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტე... ტის მოსმენა საბოლოოდ შეაჯამ... მისმა თავმჯდომარემ ბ-მა ზაზა სი... ორიძემ. მან აღნიშნა, რომ საბიუჯე... ტო პროცესი გრძელდება და ეს პირვე... ლი შემთხვევაა, როცა კომიტე... იხილავს დღევანდელი ბიუჯეტ... შედეგებს.

ფინანსთა მინისტრის მიერ წა... მოდგენილი დეტალური ინფორმაც... ის საფუძველზე უკვე შეგვიძლ... გარკვეული დასკვნების გაკეთებ... ამავე დროს საჭიროა დადგინდ... ფინანსთა სამინისტროს მიერ "კო... ტროლი ბიუჯეტთან დაკავშირებით" აგრეთვე დაგეგმილია, სექტემბრ... ბოლოს, ბიუჯეტის 9 თვის შედეგებ... განხილვა.

დაბოლოს, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარ... ემ ხაზგასმით აღნიშნა: "გაკეთებუ... ლია ის, რისი გაკეთებაც შეიძლებო... და".

ვითომ?!

დათო ჯუ...

# „საუკუნის პროექტი“ შეიძლება სასამართლო განხილვის საგნად იქცეს

(პირველი გვერდიდან)

იჭრება. როგორც ცნობილია ბაქოს ძალიან გაუფუჭდა ურთიერთობა თეირანთან და ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იყო აზერბაიჯანისთვის, რათა იგი აშშ-სა და ევროპის ინტერესების სფეროში მოქცეულიყო. ერთადერთი პირობა, სომხეთზე ნავთობის გატარებისა, არის დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლება და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ცნობა.

როგორც ვხედავთ, რეალურად თავიდანვე მხოლოდ ორი მარშრუტი (დასავლეთის და ჩრდილოეთის) არსებობდა. კასპიის ნავთობის მოლიანი მარაგის რუსეთის ტერიტორიაზე გატარება ევროპის მხრიდან, რა თქმა უნდა, ძალიან მცდარი ნაბიჯი იქნებოდა. ამიერკავკასიაში ხომ ყველაზე დიდი ინტერესები სწორედ რუსებს აქვთ. ასეც რომ არ იყოს, თურქეთი არაფრით დაუშვებდა, რომ "საუკუნის პროექტი" მისი გვერდის ავლით განხორციელებულიყო. ანკარას მოთხოვნით ბოსფორის სრუტეში, ეკოლოგიური მოსაზრებებით უნდა შეამცირონ გემების მოძრაობის გრაფიკი. ახლა წარმოიდგინოთ, დაეთანხმებოდნენ თურქები იმას, რომ ნავთობით დატვირთულ ტანკერებს მის ტერიტორიულ წყლებში ევლოთ და შემოსავალი კი (როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური) თითქმის არაფერი ყოფილიყო.

ეს რაც შეეხება მარშრუტს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ფინანსური საკითხებიც. საქართველო 1 ბარელი ნავთობის თავის ტერიტორიაზე გატარებისათვის 17 ცენტს, ხოლო რუსეთი 2 დოლარსა და 7 ცენტს მიიღებს. სხვაობა, როგორც ხედავთ, აღმაშფოთებელია (12-ჯერ ნაკლები). ოფიციალურმა პირებმა ეს შემდეგნაირად ახსნეს: მილსადენების მშენებლობა აზერბაიჯანის საზღვრიდან სუფსამდე 120 მლნ დოლარი ჯდება, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან ნოვოროსიისკამდე 45 მლნ. რუსეთი თავად იღებს ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე, ხოლო 120 მლნ-ს კი კონსორციუმი გამოყოფს. ნუთუ არ შეიძლებოდა ჩვენც გამოგვეყენახა ეს თანხა და შემოსავალიც ნორმალური მიგვეღო? ახლანდელი გადაწყვეტილებით წელიწადში საქართველო 8 მლნ დოლარს მიიღებს, ხოლო თუ ჩვენ თვითონ დავაფინანსებდით მშენებლობებს, ხაზინაში 80-85 მლნ დოლარი შევიდოდა. პროექტი კი მოგეხსენებათ 30 წლიანია. გასაგებია, რომ ბიუჯეტს უჭირს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ 1995 წელს კონტროლის პალატამ 96 მლნ ლარის უკანონო დახარჯვა გამოავლინა.

გარდა ამისა, გარკვეული თანხის კრედიტით აღება ძალიან არ გაგვიჭირდებოდა, რადგან "საუკუნის პროექტში" ჩართულ ქვეყანას, შეიძლება ითქვას, სიხარულით მოგვცემდნენ ფულს (უკან დაბრუნების გარანტია 100%-იანია). რაც ყველაზე სავალალოა, ქართულ მხარეს მხოლოდ 8 წლის შემდეგ შეუძლია მოითხოვოს ტარიფის გადასინჯვა.

ერთი სიტყვით, ზოგიერთი ტყუილად იწონებს თავს, რომ "მოხერხდა მილსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანა". არავითარი "მოხერხება" აქ არ ყოფილა. ჩვენ დიდი წინააღმდეგობაც რომ გაგვეწია, მილსადენი მაინც გადაკვეთდა საქართველოს. ეს ფაქტია და ამ საკითხზე პოლიტიკური ქულების დაგროვება, რბილად რომ ვთქვათ უხერხულია.

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ირაკლი ბათიაშვილმა სწორედ აღნიშნა, რომ როგორც კი მთავრობა შეიცვლება, მაშინვე იწყება მისი საქმეების გამოძიება. ზოგიერთმა წერილში მოყვანილ ფაქტებს შეიძლება სკეპტიკურად შეხედოს; მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე წლის შემდეგ "ნავთობის საქმის"გამო ბევრს მაღალი სკამიდან საბრალდებო სკამზე მოუწიოს გადაბრძანება.

გიორგი ბოჭორიშვილი

სტენლი ფიშერი:

# „თქვენს გვერდით დავრჩებით“

(პირველი გვერდიდან)

პერიოდში ერთხელაც არ გაიხსენა ის ინციდენტი. ხოლო როცა ქართველმა ჟურნალისტმა თავად დაუსვა ამ საკითხზე შეკითხვა, დიპლომატიურად თავი აარიდა პასუხს და თქვა, თქვენი მეწარმეების ამბავი ჩემზე უკეთ გეცოდინებათო.

რაც შეეხება პრესკონფერენციას.

სტუმრების, თარჯიმნების და ჟურნალისტების გარდა მასში თითქმის მთელმა რეფორმატორულმა გუნდმა (ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე, პრეზიდენტის თანაშემწე თემურ ბასილია, ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი) მიიღო მონაწილეობა. დავით იაკობიძეს თურმე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა.

სტენლი ფიშერმა დადებითად შეაფასა ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა. კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჰიპერინფლაცია შეჩერებულია და შეინიშნება გარკვეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

"ჩვენ ყოველმხრივ დაგიჭერთ მხარს, რომ ბოლომდე იქნას დაძლეული კრიზისი და რეფორმა წარმატებით დასრულდეს".

თავის მხრივ თემურ ბასილიამ ილაპარაკა ადგილობრივ პრობლემებზე. მან თქვა, რომ მეწარმეების ორი ჯგუფი არსებობს. ერთნი მოითხოვენ ქვეყანაში კრიმინოგენული ... თარების სტაბილურობას, აგრეთვე იმას, რომ მოხდეს საგადასახადო პოლიტიკის ხშირი ცვლა. მეორენი ვერ შეეგუენ საბაზრო ეკონომიკის კანონებს და მუდმივად შეღავათებს ითხოვენ. მათ უნდა გაიგონ, რომ არარენტაბელურ დარგებს საქართველოში განვითარება არ უწერია. ბასილიამ პრესკონფერენციაზე მოიყ... ვანა ფაქტი, რომელმაც ყველას გულწრფელი გაოცება გამოიწვია. საქართველოში ყოფილა დრო, როცა ერთი ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან უფრო მეტი შედიოდა ხაზინაში, ვი... დრე ერთი ქარხნიდან ან ფაბრიკიდან.

უსამართლობა იქნება ვთქვა... პრესკონფერენცია ძალიან საინ... ტერესო იყო-მეთქი, მაგრამ არ შეი... ძლება არ აღინიშნოს, რომ შეხვედრი... დან ყველაზე კმაყოფილები რეფორ... მატორები წავიდნენ, რადგანაც სტენ... ლი ფიშერმა ხმამაღლა განაცხადა:

"მინდოდა მენახა ქვეყანა, სადაც დაძლეულ იქნა არნახული ჰიპერინ... ფლაცია. მენახა ხალხი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ წარ... მატებაში".

რეფორმატორებმა უმაღლესი შე... ფასება დაიმსახურეს. სტენლი ფიშ... ერი საქართველოდან წავიდა. და... არჩენ საქმეებს (ისააფის კრედიტის მეორე ტრანშის გამოყოფა და სხვ.) კი მადმან ვალავი მოაგვარებს, რომელიც კიდევ... 2 კვირა დარჩება თბილისში.

გიორგი ბოჭორიშვილი

# ბიუჯეტის შემოსავალმა დაგეგმილს 1%-ით გადააჭარბა

სახელმწიფო კანცელარიის შენობაში გაიმართა მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელიც ექვსი თვის ეკონომიკური შედეგების შეჯამებას მიეძღვნა. სხდომას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა.

ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ მიმოიხილა ნახევარი წლის შედეგები. მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები, ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლის ფულის სარეზერვო მასა 173,1 მლნ ლარს შეადგენს, რაც 15,7 მლნ ლარით აღემატება დაგეგმილს. ბანკთაშორის ბირჟაზე რუსულ ვალუტაზე მოთხოვნა არ დაფიქსირებულა. ლარის კურსი დოლარის მიმართ კი 1,24-ან 1,266-ის ფარგლებში მერყეობდა. პაპავამ აღნიშნა, რომ საწარმოთა ძირითადი ფონდებიდან ქონების რეალიზაცია ხელს შეუწყობს მათ გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და შესაბამისად დაიწყონ პროდუქციის წარმოება.

სხდომაზე 6 თვის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარი ნაცვლად დაგეგმილი 221 მლნ ლარისა, სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია 223 მლნ ლარი, რაც დაგეგმილის 101%-ს შეადგენს და წინა წლის შედეგებს 2,7-ჯერ აღემატება.

თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ წინა წელთან შედარებით დაფიქსირებულია წინსვლა გარკვეულ დარგებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ბიზნესის განვითარება. პრივატიზების დაჩქარებამ გამოიწვია მოსამსახურეებისათვის 3-ჯერ უფრო მაღალი ანაზღაურება კერძო საწარმოებში, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურებში. მრეწველობის დარგში ათვისებულია 21 მლნ ლარის კვარტალური დაბანდება. ლიცენზირებულმა ტრანსპორტმა იმატა და დაფიქსირდა, რომ წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი მგზავრია გადაყვანილი. ამ მიმართებაში იმატა უცხოელი ინვესტორების დაინტერესებამ.

საბაჟო დეპარტამენტის



უფროსმა თენგიზ აბულაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს საზღვარზე რუსი მესაზღვრეების თვითნებობას. "ისინი 5-6 დღით იარაღის ძებნის საბაბით აჩერებენ თურქეთიდან მომავალ კოლონებს და არსებულ კანონიერ გადასახადებს რუსების მიერ დაწესებული "ტაქსაც" ემატება."

ამ ფაქტთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ბრძანა, რომ საჭიროა ღირსეულად ამოქმედდეს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტი, რათა დროულად აღიკვეთოს რუსი მესაზღვრეების თვითნებობა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით საბაჟოს შემოსავლიანობა 67%-ით გაიზარდა.

ენერგეტიკის მინისტრმა დავით ზუბიტაშვილმა დამსწრეთ განუცხადა, რომ ელექტროენერგიის წარმოებაში 4-5%-ით ზრდა შეინიშნება. ახლახან ნინოწმინდაში შადრევნის წესით მიიღეს ნავთობი, რომლის დღიურმა მოპოვებამ 430 ტონა შეადგინა. ასეთი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში 1997 წლის მეორე ნახევარში მაჩვენებელი 1-1,5 მლნ ტონას მიაღწევს, რაც დიდ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. მან დადებითად შეაფასა გუბერნატორებისა და სამხარეო რწმუნებულების ჯანსაღი ურთიერთკონკურენცია. მისი თქმით, ადგილობრივი მმართველობები ცდილობენ ხალხს ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნან. უახლოეს მომავალში პარლამენტი შეიმუშავებს პროექტს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ. საგულისხმოა სამამულო ნაწარმის განვითარების ტენდენცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარებაში.

სხდომის შედეგები პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეაჯამა. მან აღნიშნა, რომ მოითოკა ინფლაცია, მაკროეკონომიკის განვითარებამ სასურველ შედეგებს მიაღწია. დადებითად შეაფასა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების, ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობა.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მიუხედავად ეკონომიკაში მიღწეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს საექსპორტო პროდუქციის განვითარებას.

ერთი სიტყვით, ექვსი თვის შედეგები დამაიმედებელია. ახლა მთავარია დარჩენილ ექვს თვეში მოხდეს დაგეგმილი სამუშაოების შესრულება. გარდა ეკონომიკური წარმატებისა, ეს ყველას დაანახებს, რომ საქართველოს, სწორად განსაზღვრული პოლიტიკის შემთხვევაში შეუძლია ძალიან ღრმა კრიზისიც დაძლიოს.

ამას უდიდესი მორალური მნიშვნელობა აქვს.

ლევან ზაუტაშვილი

# ემირ ჯუღელი დარგობრივი სამინისტროების წინააღმდეგ

საქართველოში დასრულდა ვაუჩერიზაციის პროცესი, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ჯერჯერობით ნაადრევია საბოლოო დასკვნების გაკეთება, მაგრამ გარკვეული სურათი უკვე შეიქმნა.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში სისტემატურად მიმდინარეობდა სპეციალიზირებული და საბარათო აუქციონების შედეგების განხილვა, რომელსაც პრესკონფერენციების ხასიათი ჰქონდა.

ამჯერად პრესკონფერენცია ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ემირ ჯუღელმა წარმართა. თემა – ბოლო, №45 სპეციალიზირებული აუქციონის შედეგები. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ამ აუქციონზე 167 საწარმოს აქციები იქნა გამოტანილი და ყველაზე მეტი იყო განაცხადების რაოდენობა. ეს ალბათ ქართული სიზარმაცის ბრალია. ბევრი მოქალაქე თავს არ იწუხებდა დროულად აეღო და შემდეგ, არჩევანის მიხედვით, შეეტანა ვაუჩერები. ბოლოს კი ერთბაშად "მიაწყდნენ" სააუქციონო ცენტრს. უფრო მეტიც, ზოგიერთმა აღებული ვაუჩერების აქციებზე გადაცვლა ვერც კი მოასწრო.

მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ჩატარდა 29 საბარათო (ჩაქუჩიანი) აუქციონი, სადაც 169 საწარმოს სხვადასხვა მოცულობის აქციათა პაკეტები გაიყიდა. როგორც ცნობილია, ასეთ აუქციონებზე აქციების ღირებულება შედარებით მაღალია და ამიტომ აქტიურობაც ნაკლები იყო, მაგრამ შედეგებს სპეციალისტები მაინც დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ.

რაც შეეხება აქციების მფლობელების პროცენტულ განაწილებას, ბ-ნ ემირის თქმით, აქციების 66% კერძო პირებმა შეისყიდეს, ხოლო 20%-მდე აქციების მფლობელები უცხოელი ინვესტორები გახდნენ. მისივე განცხადებით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მიმართ დაინტერესება იზრდება.

შემდეგ ემირ ჯუღელმა ისაუბრა თემაზე, რომელიც ვფიქრობ, დიდ ყურადღებას და მხარდაჭერას ითხოვს. დაახლოებით მაისში გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც დარგობრივ სამინისტროებს საწარმოთა აქციების მსხვილი პაკეტების ფლობის უფლებას აძლევს.

მოგეხსენებათ, პრივატიზებამდე ფაქტიურად ყველა საწარმო სამინისტროების დაქვემდებარებაში იყო. პრივატიზების ძირითადი მიზანი კი მათი განსახელმწიფოებრიობა და კერძო მლობელების ხელში გადაცემაა, რაც თავის მხრივ, ნორმალური მართვის პირობებში ეფექტური მუშაობის გარანტიას იძლევა. თუკი სამინისტროებმა შეიძინეს საწარმოთა აქციების ძირითადი ნაწილი, გამოდის, რომ ისევ საწყის მდგომარეობაში ვბრუნდებით. შესაბამისად პრივატიზებისთვის დახარჯული დრო და სახსრები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება.

"პრეზიდენტის ბრძანებულებით სახელმწიფოს 50-მდე საწარმო დარჩა და ესეც მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით. საწარმო სამინისტროს კი არა იურიდიულ პირს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც მის ამუშავებას და პროდუქციის გამოშვებას შესძლებს" – განაცხადა ბატონმა ჯუღელმა.

როგორც ეტყობა დარგობრივი სამინისტროები "მსუქანი ლუკმის" მოლოდინში არიან და სულაც არ აპირებენ პოზიციების დათმობას, მაგრამ რაც საგულისხმოა, ქონების მართვის სამინისტროს ხემძღვანელობაც არ აპირებს უკან დახევას.

მინისტრის მოადგილის ბოლო სიტყვები პრესკონფერენციაზე სწორედ ამის დამადასტურებელია:

"არ შეიძლება ყველაფრის წყალში გადაყრა. სამინისტროებო, ხელები შორს საწარმოთა აქციებისაგან".

ეტყობა გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ წინაა.

გიორგი ბოჭორიშვილი

# საქმეში იაპონელების ჩაერთვნენ



გიორგი ჭანტურია

ივლისი საქართველოში უცხოელების ვიზიტების სიმრავლით გამოირჩეოდა. თბილისს ეწვია აზერბაიჯანის ნავთობის საოპერაციო კომპანიის მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომელსაც ტერი ადამსი ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია მიიღო სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა. ადამსმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფო მინისტრს ნავთობის საოპერაციო კომპანიისათვის გაწეული დახმარებისათვის და აუწყა, რომ ამჟამად მიმდინარეობს სუფსის მიდამოებში მიწისზედა ტერმინალის მშენებლობის საკითხების შესწავლა და ტექნიკური პარამეტრების დაზუსტება. როგორც შეხვედრაზე ითქვა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს კომერციული ფაქტორი შეასრულებს.

შემდეგ დელეგაციის წევრებმა ჟურნალისტებთან შეხვედრა ისურვეს და სასტუმრო "მეტეხში" პრესკონფერენცია გაიმართა. საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი იყო საქართველოს ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია.

19 ივლისს აზერბაიჯანის საოპერაციო კომპანიამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კასპიის ზღვასუფსის ნავთობსადენის სამშენებლო და ტექნიკური სამუშაოების შესრულება, საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შემდეგ, სამშენებლო კომპანია "ჯონ ბრაუნ ტენდერს" დაევალა. მისი გენერალური დირექტორი, იტალიური წარმოშობის რობერტო პირანი საუბარში არ ცდილობდა ემოციების დამალვას და კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მსოფლიოში ოპერატიულობას და ხარისხს ჯერ კიდევ სცემენ პატივს. სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაახლოებით 1998 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ტერ ადამსმა დამსწრეებს გააცნო " საქართველოს ნავთობსადენის კომპანიის" ხელმძღვანელი, საოპერაციო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ბობ მური, რომელიც სტუმრების ინტერესების უპირველესი დამცველი იქნება. გარდა ამისა, მურს უსაფრთხოების პროგრამის შედგენა-ხელმძღვანელობაც დაევალა. როგორც ცნობილია, საოპერაციო კომპანიის მუშაობაში ჩართვის აქტიური სურვილი გამოთქვეს იაპონელებმა.

ტერი ადამსმა ეს ფაქტი დადებითად შეაფასა და უარყო ის გავრცელებული მოსაზრება, რომ ამერიკელების ძირითადი აქცენტი ახლა ყაზახეთში, თენგიზის საბადოების დამუშავებაზეა გადატანილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა საკმაოდ იყო მოკლებული დამაჯერებლობას. მაგალითისათვის ადამსმა თქვა: – მივესალმები იაპონელების საქმეში ჩართვას, რადგანაც ისინი კონსერვატორული შეხედულებების ხალხია".

პირადად ჩემთვის გაუგებარია, რაში გამოიხატება ბიზნესში კონსერვატორიზმის დადებითობა, ასეა თუ ისე, თავისი საქმის თვითონ იციან.

საბოლოოდ გიორგი ჭანტურიამ მადლობა გადაუხადა პრესის წარმომადგენლებს საოპერაციო კომპანიის მუშაობის სისტემატიური გაშუქებისათვის და მოუწოდა მათ მომავალშიც ასე განაგრძონ.

გიორგი ბოჭორიშვილი.

# მხოლოდ ციფრები

## №45 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

| აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი | სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) | | | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) | | | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | | | | |
| 009 | "დუზანი" | 24100 | 3 | 0 | 3 | 554 | 0 | 554 | 23822 | 43 | 278 | 98.85 |
| 011 | "ლეჩხუმი" | 100081 | 8 | 0 | 8 | 2015 | 0 | 2015 | 90675 | 45 | 9406 | 90.60 |
| 013 | "კოდარა" | 53100 | 44 | 0 | 44 | 178 | 0 | 178 | 8010 | 45 | 45090 | 15,08 |
| 018 | "მედეა" | 324100 | 39 | 0 | 39 | 173 | 0 | 173 | 7785 | 45 | 316315 | 2.40 |
| 020 | "ქუთ.რეზინის ტექნიკ.ნაკ.ქ-ნა | 77000 | 162 | 0 | 162 | 4330 | 0 | 4330 | 73610 | 17 | 3390 | 95.60 |
| 022 | "გელათი" | 18100 | 29 | 0 | 29 | 221 | 0 | 221 | 9945 | 45 | 8155 | 54.94 |
| 023 | "ტყავფეხსაცმელების ,ქ-ტი" | 47900 | 47 | 0 | 47 | 159 | 0 | 159 | 7155 | 45 | 40745 | 14.94 |
| 028 | "სელორი" | 28200 | 2 | 0 | 2 | 38 | 0 | 38 | 1710 | 45 | 26490 | 6.06 |
| 040 | "ექსკავაცია" | 11500 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11500 | 0.00 |
| 041 | "ინდუსტრია-21" | 23100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 23100 | 0.00 |
| 042 | "იმედი" | 8945 | 7 | 0 | 7 | 370 | 0 | 370 | 8880 | 24 | 65 | 99.27 |
| 044 | "კასპიელექტროაპარატი" | 24400 | 18 | 0 | 18 | 553 | 0 | 553 | 24332 | 44 | 68 | 99.72 |
| 051 | "ლილო" | 138000 | 11 | 0 | 11 | 3088 | 0 | 3088 | 135872 | 44 | 2128 | 98.46 |
| 057 | "საქტარა" | 21809 | 12 | 0 | 12 | 1482 | 0 | 1482 | 20748 | 14 | 1061 | 95.14 |
| 066 | "ივერია" | 350025 | 433 | 0 | 433 | 19319 | 0 | 19319 | 347742 | 18 | 2283 | 99.35 |
| 069 | "ჩარხმშენებელი" | 105000 | 32 | 0 | 32 | 276 | 0 | 276 | 12420 | 45 | 92580 | 11.83 |
| 077 | "ფაიფური" | 90094 | 77 | 0 | 77 | 2050 | 0 | 2050 | 88150 | 43 | 1944 | 97.84 |
| 089 | "უქსოვადი ქსოვილები" | 111000 | 17 | 0 | 17 | 76 | 0 | 76 | 3420 | 45 | 107580 | 3.08 |
| 098 | "მშენტექნიკა" | 97905 | 3 | 0 | 3 | 1807 | 0 | 1807 | 81315 | 45 | 16590 | 83.06 |
| 143 | "გრდემლი" | 9800 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 9710 | 0.92 |
| 146 | "ფოლადკონსტრუქცია" | 11400 | 5 | 0 | 5 | 250 | 0 | 250 | 11250 | 45 | 150 | 98.68 |
| 147 | "მშენებელი-21" | 8400 | 2 | 0 | 2 | 13 | 0 | 13 | 585 | 45 | 7815 | 6.96 |
| 162 | "ქუთაისის ხის დამამუშ.კ-ტი" | 10769 | 17 | 0 | 17 | 329 | 0 | 329 | 10528 | 32 | 241 | 97.76 |
| 167 | "საქეაჭრობტექნიკა" | 8196 | 15 | 0 | 15 | 1161 | 0 | 1161 | 8127 | 7 | 69 | 99.16 |
| 168 | "ქუთმშენი" | 27000 | 29 | 0 | 29 | 599 | 0 | 599 | 26955 | 45 | 45 | 99.83 |
| 173 | "გრანიტი" | 7887 | 27 | 0 | 27 | 717 | 0 | 717 | 7887 | 11 | 0 | 100.0 |
| 178 | "თბილაბრეშუმი "ცისარტყელა" | 134000 | 388 | 0 | 388 | 6066 | 0 | 6066 | 133452 | 22 | 548 | 99.59 |
| 181 | "კაზე" | 5300 | 3 | 0 | 3 | 120 | 0 | 120 | 5280 | 44 | 20 | 99.62 |
| 183 | "ამწე" | 22800 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 22800 | 0.00 |
| 190 | "იმერეთი" | 266000 | 14 | 0 | 14 | 61 | 0 | 61 | 2745 | 45 | 263255 | 1.03 |
| 201 | "ქუთ.რკინა-ბეტ.ნაკ.ქ-ნა" | 29100 | 11 | 0 | 11 | 49 | 0 | 49 | 3185 | 45 | 25915 | 10.95 |
| 218 | "საქსოფმშენდეტალი" | 21500 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 21500 | 0.00 |
| 252 | "ლოპოტა" | 16986 | 62 | 0 | 62 | 1355 | 0 | 1355 | 16250 | 12 | 726 | 95.73 |
| 254 | "კომფორტი" | 16410 | 16 | 0 | 16 | 2188 | 0 | 2188 | 15316 | 7 | 1085 | 93.38 |
| 264 | "ზევსი" | 10300 | 4 | 0 | 4 | 233 | 0 | 233 | 10252 | 44 | 48 | 99.53 |
| 266 | "გალანტი" | 26566 | 11 | 0 | 11 | 762 | 0 | 762 | 25908 | 34 | 658 | 97.52 |
| 277 | "შრომა" | 14900 | 12 | 0 | 12 | 314 | 0 | 314 | 14758 | 47 | 142 | 99.05 |
| 278 | "თეთრონი" | 273000 | 84 | 0 | 84 | 7628 | 0 | 7628 | 266980 | 35 | 6020 | 97.79 |
| 285 | "მამული" | 213711 | 42 | 0 | 42 | 9456 | 0 | 9456 | 208032 | 22 | 5679 | 97.34 |
| 295 | "ვერძი-94" | 67200 | 15 | 0 | 15 | 67 | 0 | 67 | 3015 | 45 | 64185 | 4.49 |
| 328 | "ეგრისი" | 39600 | 17 | 0 | 17 | 63 | 0 | 63 | 2835 | 45 | 36765 | 7.16 |
| 333 | "ლაზიკა" | 15600 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 65 | 65 | 155 35 | 0.42 |
| 341 | "ლედა" | 37500 | 1 | 0 | 1 | 3 | 0 | 3 | 135 | 45 | 37365 | 0,36 |
| 345 | "ფოთის ლუდის ქარხანა" | 18860 | 124 | 0 | 124 | 1282 | 0 | 1282 | 17948 | 14 | 912 | 95.16 |
| 352 | "მაღლივმშენი" | 60100 | 7 | 0 | 7 | 400 | 0 | 400 | 26000 | 45 | 34100 | 43.25 |
| 359 | "სილიკატი" | 31100 | 4 | 0 | 4 | 17 | 0 | 17 | 1105 | 45 | 29995 | 3.55 |
| 362 | "ახმეტის სატყეო კომბინატი" | 11200 | 9 | 0 | 9 | 334 | 0 | 334 | 11022 | 33 | 178 | 98.41 |
| 379 | "ხაშურის საკისრების ქ-ნა" | 121500 | 68 | 0 | 68 | 5024 | 0 | 5024 | 120576 | 24 | 924 | 99.24 |
| 408 | "წალა" | 10200 | 4 | 0 | 4 | 363 | 0 | 363 | 10164 | 28 | 36 | 99.65 |
| 427 | "სამეურნეო საქონელი" | 15443 | 15 | 0 | 15 | 368 | 0 | 368 | 15088 | 41 | 355 | 97.70 |
| 428 | "ბინათმშენებელი" | 32000 | 3 | 0 | 3 | 733 | 0 | 733 | 31519 | 43 | 481 | 98.50 |
| 434 | "ლილო" | 40000 | 8 | 0 | 8 | 2181 | 0 | 2181 | 39258 | 18 | 742 | 98.15 |
| 439 | "ბემი" | 12300 | 4 | 0 | 4 | 14 | 0 | 14 | 630 | 45 | 11670 | 5.12 |
| 440 | "ლომისა" | 36000 | 5 | 0 | 5 | 18 | 0 | 18 | 810 | 45 | 35190 | 2.25 |
| 441 | "ბურჯი" | 3900 | 1 | 0 | 1 | 90 | 0 | 90 | 3870 | 43 | 30 | 99.23 |
| 455 | "თბილხელსაწყო" | 39693 | 25 | 0 | 25 | 1356 | 0 | 1356 | 39324 | 29 | 369 | 99.07 |
| 456 | "დუღაბი-94" | 35000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 35000 | 0.00 |
| 471 | "საქუნივერსალი" | 5600 | 4 | 0 | 4 | 153 | 0 | 153 | 5508 | 36 | 92 | 98.36 |
| 472 | "ლინო" | 120000 | 64 | 0 | 64 | 322 | 0 | 322 | 14490 | 45 | 105510 | 12.08 |
| 473 | "რიონი" | 40400 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 40310 | 0.22 |
| 477 | "სამშ.ფ."პროგრესი" | 12200 | 5 | 0 | 5 | 271 | 0 | 271 | 12195 | 45 | 5 | 99.96 |
| 485 | "მშენებელი" | 50000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 50000 | 0.00 |
| 499 | "ერა" | 7981 | 7 | 0 | 7 | 187 | 0 | 187 | 7667 | 41 | 14 | 99.82 |

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(გაგრძელება)

| სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) | | | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) | | | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | | | | |
| "სარინი" | 12500 | 4 | 0 | 4 | 282 | 0 | 282 | 12408 | 44 | 92 | 99.26 |
| "მინანქარი" | 21000 | 1 | 0 | 1 | 3 | 0 | 3 | 135 | 45 | 20865 | 0.64 |
| "მექანომონტაჟი" | 9400 | 3 | 0 | 3 | 212 | 0 | 212 | 9328 | 44 | 72 | 99.23 |
| "მშეილდოსანი" | 11690 | 5 | 0 | 5 | 270 | 0 | 270 | 11610 | 43 | 80 | 99.32 |
| "ნარაზენის ჩაის ფაბრიკა" | 7048 | 37 | 0 | 37 | 1005 | 0 | 1005 | 7035 | 7 | 13 | 99.82 |
| "ეკოსპეცმშენი" | 11200 | 2 | 0 | 2 | 268 | 0 | 268 | 10988 | 41 | 212 | 98.11 |
| "მიწისქვეშმშენი" | 8400 | 3 | 0 | 3 | 5 | 0 | 5 | 225 | 45 | 8175 | 2.68 |
| "ქუთ.კომკურა ამწეების სამშ-ლო" | 4400 | 5 | 0 | 5 | 26 | 0 | 26 | 1170 | 45 | 3230 | 26.59 |
| "გრემი" | 14500 | 2 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 14410 | 0.62 |
| "რკინა-ბეტონი" | 34100 | 7 | 0 | 7 | 40 | 0 | 40 | 1800 | 45 | 32300 | 5.28 |
| "ელექტროაპარატი" | 118439 | 2 | 0 | 2 | 2635 | 0 | 2635 | 115940 | 44 | 2499 | 97.89 |
| "დეზებიანი მამალი" | 15800 | 25 | 0 | 25 | 120 | 0 | 120 | 5400 | 45 | 10400 | 34.18 |
| "სამშენებლო კონსტრუქციები" | 19700 | 3 | 0 | 3 | 504 | 0 | 504 | 19656 | 39 | 44 | 99.78 |
| "აგროტექსერვისი" | 28038 | 7 | 0 | 7 | 1464 | 0 | 1464 | 27816 | 19 | 222 | 99.21 |
| "მექანიზატორი" | 13200 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 13110 | 0.68 |
| "მეწარმე" | 5200 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 90 | 45 | 5110 | 1.73 |
| "დალკი" | 8354 | 2 | 0 | 2 | 255 | 0 | 255 | 8160 | 32 | 194 | 97.68 |
| "საქმშენინდუსტრია" | 116000 | 3 | 0 | 3 | 8 | 0 | 8 | 360 | 45 | 115640 | 0.31 |
| "გარდაბანი" | 100000 | 10 | 0 | 10 | 301 | 0 | 301 | 13545 | 45 | 86455 | 13.55 |
| "მრეწვრკინიგზა" | 48400 | 11 | 0 | 11 | 390 | 0 | 390 | 17550 | 45 | 30850 | 35.26 |
| "ამწე" | 36900 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 36900 | 0.00 |
| "არაგვი" | 108177 | 16 | 0 | 16 | 5443 | 0 | 5443 | 103417 | 19 | 4760 | 95.60 |
| "განახლებული მექანიზაცია" | 12900 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12900 | 0.00 |
| "ცირკი" | 13388 | 58 | 0 | 58 | 1565 | 0 | 1565 | 12520 | 8 | 868 | 93.52 |
| "სოგი" | 12000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12000 | 0.00 |
| "თბილმრეწვმშენი-3" | 16456 | 11 | 0 | 11 | 393 | 0 | 393 | 16113 | 41 | 343 | 97.92 |
| "დელტა" | 88400 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 88400 | 0.00 |
| "თბილრეკლამა" | 5500 | 6 | 0 | 6 | 15 | 0 | 15 | 675 | 45 | 4825 | 12.27 |
| "მშენებელი" | 17500 | 5 | 0 | 5 | 15 | 0 | 15 | 675 | 45 | 16825 | 3.86 |
| "დარაბა" | 11800 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11800 | 0.00 |
| "ხიმინჯი-75" | 20000 | 1 | 0 | 1 | 230 | 0 | 230 | 10350 | 45 | 9650 | 51.75 |
| "მუხიანი" | 20000 | 25 | 0 | 25 | 180 | 0 | 180 | 8100 | 45 | 11900 | 40.50 |
| "ქაშანური" | 28000 | 28 | 0 | 28 | 131 | 0 | 131 | 5895 | 45 | 22105 | 21.05 |
| "საქტექმონტაჟნაკეთობა" | 7200 | 5 | 0 | 5 | 334 | 0 | 334 | 7014 | 21 | 186 | 97.42 |
| "ელექტროშედუღება" | 55200 | 13 | 0 | 13 | 47 | 0 | 47 | 2115 | 45 | 53085 | 3.83 |
| "რუსთაემშენი" | 35000 | 6 | 0 | 6 | 784 | 0 | 784 | 34496 | 44 | 504 | 98.56 |
| "სამგზავრო" | 10121 | 3 | 0 | 3 | 14 | 0 | 14 | 630 | 45 | 9491 | 6.22 |
| "თამარისის მეფრინველეობის ფ-კა" | 145000 | 77 | 0 | 77 | 535 | 0 | 535 | 24075 | 45 | 120925 | 16.60 |
| "მექანიზაცია" | 3700 | 6 | 0 | 6 | 90 | 0 | 90 | 3690 | 41 | 10 | 99.73 |
| "თბილისი" | 6600 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 45 | 45 | 6555 | 0.68 |
| "თბილლითონნაწარმი" | 19400 | 4 | 0 | 4 | 430 | 0 | 430 | 19350 | 45 | 50 | 99.74 |
| "ბიზნეს ცენტრი "მონტაჟსპეცმშენი" | 21000 | 29 | 0 | 29 | 737 | 0 | 737 | 20636 | 28 | 364 | 98.27 |
| "ჭიათურსილიკატი" | 58546 | 28 | 0 | 28 | 549 | 0 | 549 | 35685 | 65 | 22861 | 60.95 |
| "შანავი" | 1195000 | 179 | 0 | 179 | 76585 | 0 | 76585 | 1148775 | 15 | 46225 | 96.13 |
| "ხაბაზი" | 159450 | 275 | 0 | 275 | 8199 | 0 | 8199 | 155781 | 19 | 3669 | 97.70 |
| "ოქრ. ს თაეთავი" | 17998 | 801 | 0 | 801 | 7280 | 0 | 7280 | 14560 | 2 | 3438 | 80.90 |
| "შუამთა" | 8382 | 61 | 0 | 61 | 758 | 0 | 758 | 8338 | 11 | 44 | 99.48 |
| "ივერია" | 75800 | 204 | 0 | 204 | 4600 | 0 | 4600 | 73600 | 16 | 2200 | 97.10 |
| "ელექტროენერგეტიკა" | 87296 | 3 | 0 | 3 | 723 | 0 | 723 | 46995 | 65 | 40301 | 53.83 |
| "იბერია" | 29844 | 13 | 0 | 13 | 598 | 0 | 598 | 29302 | 49 | 542 | 98.18 |
| "ბათუმის ქიმიური ქ-ნა" | 172000 | 62 | 0 | 62 | 2951 | 0 | 2951 | 171158 | 58 | 842 | 99.51 |
| "ბათუმის რძის ქ-ნა" | 134000 | 129 | 0 | 129 | 10115 | 0 | 10115 | 131495 | 13 | 2505 | 98.13 |
| "ლედოფლისწყაროს ნავთობპროდუქტი" | 11567 | 73 | 0 | 73 | 7595 | 0 | 7595 | 7595 | 1 | 3972 | 65.66 |
| "სანი" | 48263 | 3 | 0 | 3 | 796 | 0 | 796 | 44760 | 60 | 503 | 98.96 |
| "რკინიგზელი" | 60374 | 4 | 0 | 4 | 479 | 0 | 479 | 31135 | 65 | 29239 | 51.57 |
| "თბოენერგია" | 396236 | 3 | 0 | 3 | 3113 | 0 | 3113 | 202345 | 65 | 193891 | 51.07 |
| "ქაღალდი" | 229739 | 3 | 0 | 3 | 15 | 0 | 15 | 975 | 65 | 228764 | 0.42 |
| "ზუგდიდის ქაღალდი" | 673185 | 24 | 0 | 24 | 6222 | 0 | 6222 | 404430 | 65 | 268755 | 60.08 |
| "ანაგა" | 91326 | 32 | 0 | 32 | 5655 | 0 | 5655 | 90480 | 16 | 846 | 99.07 |
| "ექსტრა" | 34701 | 14 | 0 | 14 | 545 | 0 | 545 | 34335 | 63 | 366 | 98.95 |
| "ინქმშენი" | 342410 | 36 | 0 | 36 | 29944 | 0 | 29944 | 329384 | 11 | 13026 | 96.20 |
| "ქუთაისის პურის მიმღები" | 324710 | 363 | 0 | 363 | 27913 | 0 | 27913 | 307043 | 11 | 17557 | 94.56 |
| "შირაქი" | 505905 | 63 | 0 | 63 | 36150 | 0 | 36150 | 469950 | 13 | 35955 | 92.89 |
| "სენაკის პურკომბინატი" | 64926 | 23 | 0 | 23 | 1659 | 0 | 1659 | 64701 | 39 | 225 | 99.65 |
| "ტარო-თბილისი" | 19885 | 2 | 0 | 2 | 928 | 0 | 928 | 19488 | 21 | 197 | 99.00 |

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

| აქციათა გამომვ. რიგითი ნომერი | სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) | | | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) | | | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | | | | |
| 925 | "რუხის ჩაის ფაბრიკა" | 38445 | 6 | 0 | 6 | 2468 | 0 | 2468 | 37020 | 15 | 1425 | 96.29 |
| 926 | "აჭარპური" | 826483 | 327 | 0 | 327 | 26392 | 0 | 26392 | 607016 | 23 | 19467 | 96.89 |
| 927 | "ავტომობილისტი-96" | 67000 | 5 | 0 | 5 | 1176 | 0 | 1176 | 65838 | 56 | 1144 | 98.29 |
| 928 | "ავტოტურისტი" | 108000 | 15 | 0 | 15 | 1828 | 0 | 1828 | 107882 | 59 | 148 | 99.86 |
| 929 | "კაუჩუკი" | 103245 | 18 | 0 | 18 | 1874 | 0 | 1874 | 103070 | 55 | 175 | 99.83 |
| 930 | "ავტომობილისტი" | 257298 | 35 | 0 | 35 | 4559 | 0 | 4559 | 255304 | 56 | 1994 | 99.23 |
| 931 | "ბათუმსპეცმონტაჟი" | 200103 | 28 | 0 | 28 | 4024 | 0 | 4024 | 197176 | 49 | 2927 | 98.54 |
| 932 | "ბათუმტრანსფორმატორების ქ-ნა" | 2492556 | 102 | 0 | 102 | 4677 | 0 | 4677 | 304005 | 55 | 2188551 | 12.20 |
| 933 | "სააველო ბამბუკის ფაბრიკა" | 352000 | 44 | 0 | 44 | 9546 | 0 | 9546 | 343656 | 36 | 8344 | 97.63 |
| 934 | "ბათუმის ხორცკომბინატი" | 162000 | 18 | 0 | 18 | 3478 | 0 | 3478 | 159988 | 46 | 2012 | 98.76 |
| 935 | "გურმანი" | 487000 | 125 | 0 | 125 | 11655 | 0 | 11655 | 477855 | 41 | 9145 | 98.13 |
| 936 | "ქობულეთის ჩაი" | 439364 | 23 | 0 | 23 | 7127 | 0 | 7127 | 434747 | 61 | 4617 | 98.95 |
| 937 | "წალენჯიხის"სატყეო მრეწვ.კტი." | 31095 | 14 | 0 | 14 | 2098 | 0 | 2098 | 29372 | 14 | 1723 | 94.45 |
| 939 | "ბათუმის ფეხსაცმელების ფ-კა" | 705052 | 22 | 0 | 22 | 4018 | 0 | 4018 | 261170 | 65 | 443882 | 37.04 |
| 940 | "ბათუმის ხის დამამუშ.კტი" | 658814 | 29 | 0 | 29 | 9080 | 0 | 9080 | 590200 | 65 | 68614 | 89.59 |
| 941 | "ნარუჯა" | 907260 | 33 | 0 | 33 | 62090 | 0 | 62090 | 869260 | 14 | 38000 | 95.81 |
| 942 | "ნასაკირალი" | 267988 | 18 | 0 | 18 | 18314 | 0 | 18314 | 256396 | 14 | 11592 | 95.67 |
| 943 | "ლაითური" | 912234 | 82 | 0 | 82 | 63952 | 0 | 63952 | 895328 | 14 | 19906 | 98.15 |
| 944 | "ნატანების ჩაის ფაბრიკა" | 95744 | 20 | 0 | 20 | 8636 | 0 | 8636 | 94995 | 11 | 748 | 99.22 |
| 945 | "ორპირის ჩაი" | 57958 | 58 | 0 | 58 | 12825 | 0 | 12825 | 51300 | 4 | 6658 | 88.51 |
| 945 | "ტყიბულის ჩაი" | 126484 | 87 | 0 | 87 | 17144 | 0 | 17144 | 120008 | 7 | 6476 | 94.88 |
| 947 | "თრიალეთი" | 359650 | 11 | 0 | 11 | 6008 | 0 | 6008 | 354472 | 59 | 5178 | 98.56 |
| 948 | "მარნეულის ელევატორი" | 975620 | 390 | 0 | 390 | 46598 | 0 | 46598 | 431960 | 20 | 43650 | 95.52 |
| 949 | "კაჭრეთის პურპროდუქტების კტი" | 737150 | 237 | 0 | 237 | 42496 | 0 | 42496 | 722432 | 17 | 14718 | 98.00 |
| 950 | "წისქვილი" | 550850 | 1182 | 0 | 1182 | 46339 | 0 | 46339 | 509729 | 11 | 41121 | 92.53 |
| 951 | "ტურისტული კომპლექსი "მესხეთი" | 1540000 | 131 | 0 | 131 | 28258 | 0 | 28258 | 1525932 | 54 | 14058 | 99.09 |
| 952 | "ბათუმის ავტოსადგური" | 173000 | 109 | 0 | 109 | 11950 | 0 | 11950 | 167300 | 14 | 5700 | 96.71 |
| 953 | "ქობულეთის ტუნგოს ქ-ნა" | 39200 | 26 | 0 | 26 | 1066 | 0 | 1066 | 38376 | 36 | 824 | 97.90 |
| 954 | "ბათავტოტრანსსერვისი" | 109000 | 52 | 0 | 52 | 9145 | 0 | 9145 | 100595 | 11 | 8405 | 92.29 |
| 955 | "აჭარკაპმშენი" | 32500 | 13 | 0 | 13 | 661 | 0 | 661 | 32389 | 49 | 111 | 99.66 |
| 956 | "აჭარწიგნი" | 222000 | 44 | 0 | 44 | 10134 | 0 | 10134 | 212814 | 21 | 9186 | 95.86 |
| 957 | "პოლიგრაფისტი" | 481000 | 29 | 0 | 29 | 9426 | 0 | 9426 | 480726 | 51 | 274 | 99.94 |
| 958 | "ხელვაჩაურის ციტ.გად. კტი" | 1700000 | 27 | 0 | 27 | 9773 | 0 | 9773 | 635245 | 65 | 1064755 | 37.37 |
| 959 | "ბათუმის ტყავის ქ-ნა" | 1048000 | 11 | 0 | 11 | 396 | 0 | 396 | 25740 | 65 | 1022260 | 2.46 |
| 960 | "ბათუმის ნომ.2 სტამბა." | 92000 | 45 | 0 | 45 | 3565 | 0 | 3565 | 89125 | 25 | 2875 | 96.88 |
| 961 | "ვაჭრობტრანსი" | 80800 | 20 | 0 | 20 | 1529 | 0 | 1529 | 79508 | 52 | 1292 | 98.40 |
| 962 | "გამომცემლობა აჭარა" | 26200 | 21 | 0 | 21 | 958 | 0 | 958 | 25886 | 27 | 334 | 98.73 |
| 963 | "ბათუმის ქიმიური ფარმაცევტ.ქ-ნა | 1933000 | 109 | 0 | 109 | 9861 | 0 | 9861 | 640965 | 65 | 1292035 | 33.16 |
| 964 | "ბოსო" | 64888 | 28 | 0 | 28 | 2500 | 0 | 2500 | 62500 | 25 | 2388 | 96.32 |
| | სულ: | 28955387 | 8500 | 0 | 8500 | 85097 | 0 | 850975 | 19332246 | | 9623141 | |

**პრივატიზებულია — მოქმედებს**

# იჯარა-გამოსყიდვისათვის მზადდება

— ახალციხის რაიონში სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო პროგრამა წარმატებით ხორციელდება. წლის ბოლოსათვის დასრულდება მცირე პრივატიზება. ვაჭრობის ობიექტებიდან დარჩენილია 5, ხოლო საყოფაცხოვრებოდან – 7 საწარმო,– გვეუბნება ქონების მართვის ახალციხის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე ნიკო სესაძე. მათი გაყიდვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ძირითადად იმის გამო, რომ ორგანიზაციებიდან დროულად ვერ მოგვაწოდეს მასალები. არის სხვა მიზეზებიც.მაგალითად ობიექტი ორი უწყების განმგებლობაშია: შენობა ეკუთვნის სამშენებლო ტრესტს, ხოლო სხვა დანარჩენი ქონება – "ქალაქვაჭრობას". ასეთივე მდგომარეობაა საყოფაცხოვრებო ობიექტებზეც: შენობა ეკუთვნის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, იარაღები – საყოფაცხოვრებოს.

პრივატიზებულია ძირითადად მოძველებული ობიექტები, რომელთაც დიდი ხანია არც უმუშავიათ და არც სარემონტო სამუშაოები ჩაუტარებიათ. ჯერჯერობით ზოგიერთი საწარმო უსახსრობის გამო გაჩერებულია, მაგრამ უმეტესობაში მუშაობა განახლდა. რაც მთავარია, ყველგან შენარჩუნებულია ძირითადი პროფილი.

ამუშავებულ საწარმოებში ჩატარებული რემონტის შედეგად შეიცვალა ქალაქის იერ-სახე.

დღესდღეობით წარმატებით მუშაობს 27-ე მაღაზია, კაფე "რუსთავი", კაფე "სანაყინე", ბენზინის ავტოგასამართი სადგურები, "ტექყოფსერვისი".

სააქციო საზოგადოებად გადაკეთებულია 6 ობიექტი, რომლებმაც თავიანთი აქციები უკვე გაყიდეს და მუშაობასაც შეუდგნენ, ესენია: ფირმა "მესხეთი" – ყოფილი სამშენებლო ტრესტი (ხელმძღვანელი ნუგზარ პარუნაშვილი), ახალციხის "ნავთობპროუქტები" (ომარ ჯაყელი), ახალციხის "ელძრავები" (ამირან ხითარიშვილი), "ახალციხეტრანსი" (მაქრო მუმლაძე) და სხვ.

იჯარა-გამოსყიდვით გაიყიდა ახალციხის "პურკომბინატი", რომელიც შეისყიდა მუშამოსამსახურეთა ამხანაგობამ. ასევე იჯარა-გამოყიდვისთვის მზადდება ახალციხის საკალმახე მეურნეობა და ახალციხის საკოლმეურნეო ბაზარი.

8. ქობულაძე

ახალციხე

# ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახულია

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ადიგენის რეგიონალურ განყოფილებას სათავეში უდგას გურამ კიკაბიძე. იგი ახლახან კოლეგიაზე ახალი ვადით დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა მას რაიონში პრივატიზების პროცესის თაობაზე.

— ჩვენთან პრივატიზება ნორმალური ტემპით მიმდინარეობს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პირობებს, რა პირობებშიც უხდება ქვეყანას ცხოვრება და მუშაობა. პრივატიზება დავიწყეთ ბენზინის ავტოგასამართი სადგურების გაყიდვით. შარშანწინ ადიგენის საკონსერვო ქარხნის ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება "მესხეთი", რომლის აქციები წელს მთლიანად გაიყიდა. შარშან გაიყიდა 19 ობიექტი. წელს ჯერჯერობით მხოლოდ – 5. ჩვენი მუშაობა ძირითადად ინფორმაციის გავრცელებაზეა დაფუძნებული და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალების უქონლობა ძალზე უარყოფითად მოქმედებს. აგრეთვე ერთი პერიოდი გაურკვეველ სიტუაციაში გვიხდებოდა მუშაობა. ხალხს ეშინოდა არჩევნებში კომუნისტების გასვლისა და ერიდებოდნენ სახელმწიფო ქონების კერძო სექტორში გადასვლას, "ვაი თუ კომუნისტებმა კვლავ წაგვარ[...] ყველაფერიო". მადლობა ღმერთს, მათი [...] უსაფუძვლო გამოდგა. და ჩვენც გა[...] ფლდით ფსიქოლოგიური ბარიერისგან და [...] ბოლომდე ალბათ დავამთავრებთ კიდეც მ[...] პრივატიზებას.

გაყიდული ობიექტებიდან არც ერთ[...] მუშაობდა, პრივატიზების შემდეგ კი უმე[...] ბა ამოქმედდა. კახარეთჰესი, რომელიც [...] წლიდან არ ამუშავებულა შეისყიდა ფ[...] "ფალავანმა" და ცდილობენ მის მწყობ[...] ჩაყენებას. თუმცა არხის გაშვების პრობ[...] ჯერჯერობით გადაულახავი რჩება [...] მალე ამუშავდება სააქციო საზოგადოება "[...] ეთი". ვაჭრობის ობიექტები და ამ[...] ძირითადად გამართულად ფუნქციონირ[...] გაიყიდა და მუშაობს აბასთუმნის საკოლ[...] ნეო ბაზარი, სახერხი დერცელში და სხვ[...]

განსახელმწიფოებრიობას ექვემდება[...] ადიგენის სოფლტექნიკა, აბასთუ[...] კურორტვაჭრობის 7 ობიექტი, აბასთუ[...] საკურორტო გაერთიანება და რამდენიმე [...] პატარ-პატარა საწარმო.

8. ქობუ[...]

ად[...]

# მსოფლიო ეკონომიკა

### ოქრო ძვირდება

...ვიწრო დიაპაზონში მერყეო- (386-385 $). სპეციალისტების ...ით, აშშ-ს ხაზინის ობლიგაციებზე ...ების შემცირება გამოიწვევს ...სტორების მომეტებულ ინტერ- ...ძვირფას ქვებზე, განსაკუთრე- ...კი ოქროზე. ეს, ბუნებრივია, ...ლეს ხანში ოქროს ფასს მაღლა ...ევს.

### ალუმინის ფასი იმატებს

...ლონის ბირჟაზე სამთვიან ფი- ...რსულ კონტრაქტებზე ამ ლითო- ...ფასი დაახლოებით 30 პუნქტით ...არდა. დილერების განცხადებ- ...გაძვირება იმ ფაქტმა გამოიწვია, ...აშშ-ის ერთ-ერთ ალუმინის გად- ...მუშავებელ უმსხვილეს საწარმო- ...ები გაფიცვისათვის ემზადებ- ...მიუხედავად ყველაფრისა მო- ...ლ კვირას ალუმინი ალბათ 1500 ...არზე ნაკლები ეღირება.

### თუჯი გაძვირდა

...ლონის ბირჟაზე უკანასკნელი ...თვის განმავლობაში თუჯის ...მა პირველად მიაღწია 2016 ...არის ტონაზე. მაგრამ ეს კიდევ ...რის საბოლოო ციფრი. ბირჟის ...ებში თუჯის მარაგი მნიშ- ...ლოვნადაა შემცირებული. ასე ...ფასიც 2100 დოლარს უახლოეს ...ში მიაღწევს.

### ნიკელი გაიაფდა

...ლონდონის ბირჟაზე ნიკელის ფასმა 60 დოლარით დაიწია. ეს კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მთელ მსოფლიოში ხდება ამ ლითონის მარაგის დაგროვება (მომავალი დეფიციტის შიშით).

### ნავთობის ფასი სტაბილურია

ლონდონის ბირჟაზე სამთვიან ფიუჩერსულ კონტრაქტებზე ნავთობის ფასი 19,2-19,4 დოლარის ფარგლებში მერყეობდა. ექსპერტების ვარაუდის საპირისპიროდ, ერაყმა გასაყიდად არ გამოიტანა ნავთობის საკმაოდ დიდი მარაგი. ეს კი გაიაფებას გამოიწვევდა.

### შაქრის ფასი არ შეცვლილა

ლონდონის ბირჟაზე შაქარი მხოლოდ 8 პუნქტით გაძვირდა და ტონაზე 371 დოლარი შეადგინა. ეს მოჩვენებითი სიმშვიდე იმან გამოიწვია, რომ მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა თავი შეიკავეს დიდი რაოდენობით თეთრი შაქრის ყიდვისაგან.

**ფასები**

**ძირითადი საბირჟო საქონელი მსოფლიო ბირჟაზე**

(4 აგვისტოს მდგომარეობით)

| | |
|---|---|
| ოქრო (S/ უნცია) | 386,25 |
| ალუმინი (S/ტ) | 1526,0 |
| თუჯი (S/ტ) | 1961 |
| ნიკელი (S/ტ) | 7015 |
| ნავთობი (S/ბარელი) | 19,40 |
| ხორბალი (ფუნტი/ტ) | 112,5 |
| შაქარი (S/ტ) | 371,0 |

## ვალუტის ოფიციალური კურსები
**(დსთ და ბალტიისპირეთი)**

| ...რესპუბლიკა | 1 დოლარი | ცვლილება | 1000 რუბლი | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| ...ბაიჯანი (მანათი) | 4284,0 | -19 | 830 | +30 |
| ...ეთი (დრამი) | 417,30 | +0663 | 79,6 | 0 |
| ...რუსია (ბელ. რუბლი) | 13510,0 | +110 | 2600 | +30 |
| ...თველო (ლარი) | 1,26 | -0,007 | 0,24 | 0 |
| ...ხეთი (თუნგე) | 67,25 | +0,35 | 13,6 | 0 |
| ...ზეთი (სომი) | 12,25 | -0,05 | 2,3599 | -0,0197 |
| ...ვია (ლატი) | 0,546 | -0,003 | 0,107 | -0,0007 |
| ...ვა (ლიტი) | 4,0 | 0 | 0,7709 | -0,0012 |
| ...დოვა (ლეი) | 4,602 | -0,066 | 0,873 | -0,021 |
| ...თი (რუბლი) | 5197,0 | +22 | - | - |
| ...ეთი (ტაჯ. რუბლი) | 293,0 | +3 | 56,0 | 0 |
| ...მენეთი (მანათი | 402 | 0 | 776,43 | -2,85 |
| ...ინა (კარბოვანეცი) | 176000,0 | -1400 | 33900 | -400 |
| ...ეთი (სუმი | 38,0 | 0 | 7,32 | -0,06 |
| ...ნეთი (კრონი) | 11,8004 | -0,-959 | ა/დ | - |

## მყარი ვალუტის კურსები

| | ფრანგ. | გერმ. | იტალ. | იაპონ. | შვეიც. | ინგლ. | აშშ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...ული ფრანკი | 5,0255 | 7,7767 | 4,1704 | 4,7010 | 3,3020 | 3,3953 | - |
| ...ული მარკა | 1,4802 | 2,2908 | 1,2285 | 1,3848 | 0,9725 | - | 0,2945 |
| ...ური ლირა | 1521,5 | 2354,8 | 1262,7 | 1623,7 | - | 1028,4 | 302,68 |
| ...ური იენა | 106,89 | 165,43 | 88,716 | - | 70243 | 72,242 | 21,280 |
| ...ული ფრანკი | 1,2051 | 1,8647 | - | 1,1272 | 0,7919 | 0,8143 | 0,2397 |
| ...ური ფუნტი | 0,6461 | – | 0,5363 | 0,6044 | 0,4246 | 0,4365 | 0,1285 |
| ...ლარი | - | 1,5477 | 0,8301 | 0,9357 | 0,6572 | 0,6758 | 0,1990 |

## დოლარის კურსი დაცემას განაგრძობს

წამყვანი სახელმწიფოების ვალუტის კურსების ცვალებადობა ყოველთვის ეკონომისტების ყურადღების ცენტრშია.

დოლარის კურსმა გერმანული მარკის მიმართ 1,4937 შეადგინა. ამან ფინანსისტებში გარკვეული შეშფოთება და გაკვირვება გამოიწვია. გერმანიის ბუნდესბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა თუ დოლარი 1,500 ნიშნულს ქვემოთ ჩამოიწევდა. როგორც გერმანიის "პირველმა ბანკირმა" აღნიშნა, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია დოლარის კურსის აწევა და სტაბილურობა.

უფრო სკეპტიკურადაა განწყობილი იაპონიის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის (ტოკაი) ხელმძღვანელი. იგი მიიჩნევს, რომ დოლარის გამოჯანმრთელებას უფრო დიდი დრო დასჭირდება.

ასევე დაეცა დოლარის კურსი იაპონური იენას, ინგლისური ფუნტის, შვეიცარული და ფრანგული ფრანკის მიმართაც.

ჩვენთვის რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, დოლარს მსოფლიო სავალუტო ბირჟებზე, როგორც ვხედავთ, მთლად კარგად არა აქვს საქმე. ეს ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მას კატასტროფა ემუქრება და საჭიროა თავიდან მოცილება (გადახურდავება). აშშ სარეზერვო სისტემა იმედოვნებს, რომ მდგომარეობა მალე გამოსწორდება. ასე რომ, ვისაც შეგიძლიათ განაგრძეთ "მწვანეების" მუთაქებში შენახვა.

## შედეგმა პროგნოზს გადააჭარბა

ყირგიზეთის ნაციონალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა შეაჯამა 2 ათასამდე საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგები. სულ ამ სახელმწიფოში თითქმის 3 ათასი საწარმო მუშაობს. რეალურმა სურათმა ყოველგვარ პროგნოზს გადააჭარბა. შემოწმებული ობიექტების 45,5% ფაქტიურად წაგებაზე მუშაობს. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელი 5 თვის მანძილზე ასეთი საწარმოების რიცხვი 6%-ით გაიზარდა. მხოლოდ 49% ქმნის ისეთ პროდუქციას, რომელიც მოგებას იძლევა.

არის კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. ყველაზე წამგებიანი საქალაქო ელექტროტრანსპორტი და საჰაერო ტრანსპორტი აღმოჩნდა.

როგორც ვხედავთ ცენტრალური აზიის ამ რესპუბლიკის ყოველი მესამე საწარმო, ფაქტიურად გაკოტრების კანდიდატია. ექსპერტები მოუწოდებენ ხელისუფლებას, მიიღოს რაღაც ზომები სიტუაციის გამოსასწორებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ყირგიზეთში უმუშევრების რიცხვი კატასტროფულად გაიზრდება.

## თენგე რიგით მეოთხეა

ყაზახეთი შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების მერვე სტატიას, რომელიც ითვალისწინებს ყაზახეთის თენგეს სრულ კონვერტაციას მიმდინარე ოპერაციებზე. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ეს მეოთხე შემთხვევაა (ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი). ამ ნაბიჯის გადასადგმელად ყაზახები დიდი ხანია ემზადებოდნენ და საერთაშორისო ექსპერტთათვის სრულიად არ ყოფილა მოულოდნელი.

ყაზახეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების ერთ-ერთ ძირითად სტატიასთან შეერთება საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და ყაზახეთის ეკონომიკაში დამატებითი კაპიტალის ჩადებას.

## გაზარდეს საწესდებო კაპიტალი

თურქმენეთის ცენტრალურმა ბანკმა გაზარდა კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა. აქამდე ის 25 ათას დოლარს შეადგენდა, ახლა კი 125 ათასი დოლარი იქნება.

თურქმენეთში მოქმედ ბანკებს (მათ შორის უცხოური კაპიტალის შემქმნელებსაც), მიეცათ ვადა ეს საკითხი 1996 წლის პირველ ოქტომბრამდე მოაგვარონ. სპეციალისტებისათვის გაუგებარია, რატომ მისცეს ბანკებს ასეთი მცირე დრო, საწესდებო კაპიტალი ხომ 5-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ცენტრალურმა ბანკმა გამონაკლისიც გააკეთა. ქვეყნის სამ უმსხვილეს ბანკს (თურქმენბანკი, ინვესტბანკი, საგარეო-ეკონომიკური ბანკი) მინიმალური საწესდებო კაპიტალი 250 ათასი დოლარის ოდენობით განესაზღვრა.

ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს თურქმენეთის საბანკო სისტემის დახვეწას. თავის მხრივ კი, ალბათ, ზოგიერთი ბანკი ვერ შეძლებს საჭირო რაოდენობის საწესდებო კაპიტალის შექმნას და დაიწყება ბანკების შეერთება-გამსხვილების პროცესი.

## აზერბაიჯანის ნაცბანკის სავალუტო რეზერვები მცირდება

1996 წლის დასაწყისიდან აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები 52 მლნ დოლარით შემცირდა და წლის პირველი ნახევრის შედეგებით 110 მლნ დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა შეამცირეს აზერბაიჯანისათვის გამოსაყოფი კრედიტების რაოდენობა. მთავრობა კი, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ბირჟაზე ინვესტიციის მოსახდენად დიდ თანხებს ხარჯავს. აზერბაიჯანის ნაციონალური ბანკის ექსპერტების გაანგარიშებით, სავალუტო რეზერვების რაოდენობა არ გაიზრდება, უფრო მეტიც, 1996 წლის ბოლომდე მოსალოდნელია მისი შემცირება 100 მლნ დოლარამდე.

ეს, რა თქმა უნდა, გლობალურ კრიზისს მაკროეკონომიკაში არ გამოიწვევს, თუმცა გარკვეული უარყოფითი შედეგები (ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება) მაინც იქნება. აზერბაიჯანის მთავრობას უეჭველად მოუწევს ეფექტური პროგრამის შემუშავება, რაც საკმაოდ დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

გვერდის მასალები მოამზადა
ზიორზი ბოჭორიშვილმა

# პალიტრა

## ყველაზე ძუნწი

თუ სიძუნწე გამოიხატება თანაფარდობით ადამიანის ხარჯებსა და მის ქონებას შორის, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ყველაზე წუწურაქ პიროვნებას წარმოადგენდა ჰენრიეტა ჰაულენდ გრინი (1835-1916). "პატივცემული ლედიკო" ისე დიდხანს ეძებდა უფასო სამედიცინო კლინიკას, რომ ბოლოს მის შვილს ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, არადა ქალბატონ ჰენრიეტას ანგარიშზე აშშ-ს ერთ-ერთ ბანკში 31,4 მლნ დოლარი ირიცხებოდა. თვითონ ქალბატონი კი, მთელი სიცოცხლის მანძილზე, მხოლოდ ცივი ბურღულის ფაფით იკვებებოდა, რადგან თავს საჭმლის გაცხელების უფლებას არ აძლევდა.

ჰენრიეტა გრინის ქონებამ, მის სიცოცხლეში 95 მლნ დოლარს გადააჭარბა.

## უნიკალური მეხამრიდი

ერთადერთი ადამიანი მსოფლიოში, რომელმაც შვიდჯერ მიიღო მეხის დარტყმა, იყო როი სალივენი, (აშშ). პირველად ეს მოხდა 1942 წ. მან დაკარგა ფეხის ცერი. განმეორდა 1969 წ. – შეეტრუსა წარბები, შემდეგ 1970 წ. მიიღო მარცხენა მხრის დამწერობა. 1972 წ. შეეტრუსა თმები, 1973 წ. დაეწვა თმები და ცალი ფეხი. 1976 წ. დაიზიანა კოჭი, ხოლო მეხის მეშვიდედ დაცემის შემდეგ მკერდისა და მუცლის ძლიერი დამწვრობით მიიყვანეს საავადმყოფოში. იგი 1983 წ. გარდაიცვალა, მაგრამ არა მეხის, არამედ უიღბლო სიყვარულის გამო.

## ყველაზე დაბალი ტემპერატურა

რეგისტრირებულია პაციენტების ცოცხლად გადარჩენის სამი შემთხვევა, როდესაც მათი სხეულის ტემპერატურა 16 გრადუსი იყო. 28 წლის მეი სტივენსი 1951 წ. 1 თებერვალს იპოვეს პარკში, 1956 წ. 2 წლის მერი დევისი ძველ საკანალიზაციო მილში აღმოაჩინეს, ხოლო ასევე ორი წლის მაიკლი 1985 წ. 1 იანვარს, თავისი სახლის მახლობლად, თოვლში ნახეს.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი 35 გრადუსი ტემპერატურით ჰიპოტერმიით (კიდურების მოყინვა) კვდება.

## ყველაზე მაღალი ტემპერატურა

ნორმალურ პირობებში ადამიანის სხეულის ტემპერატურა 36,6 გრადუსია, მტრედის სხეულის სიმხურვალე 38 0, პატარა ზომის ამერიკული ჯიშის ძაღლი "HOT DOG" ("ცხელი ძაღლი"), მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტემპერატურის (40 0) მქონე არსებად ითვლება. ადამიანებში კი რეკორდსმენია 52 წლის შავკანიანი უილი ჯონსი, რომელსაც ჰოსპიტალში მიყვანისას, სხეულის ტემპერატურა 46,5 0 ჰქონდა, ამ დროს ჰაერის ტემპერატურა იყო 32,2 0, ხოლო ტენიანობა – 44%.

24 დღის შემდეგ უილი დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით გამოეწერა.

## ვინ ჭამს ყველაზე მეტს

ბუნებაში ყველაზე მეტს, სამხრეთ ამერიკული პეპელა პოლიფემუსი ჭამს, სიცოცხლის პირველი 48 სთ-ის განმავლობაში, იგი თავის წონაზე 86.000-ჯერ მეტ საკვებს ნთქამს. ეს თვისება, ადამიანისათვის რომ მიგვენიჭებინა, მაშინ 3,17 კგ წონის ახალშობილი მხოლოდ 273 ტ. საჭმელს თუ დასჯერდებოდა.

## საბერძნეთი პოზიციას იცვლის

საბერძნეთმა გააუქმა თავისი ვეტო ხმელთაშუაზღვის სამხრეთის ქვეყნებისათვის ევროპის კავშირის ფინანსური დახმარების მრავალმილიონიან პროგრამაზე და მხარი დაუჭირა თურქეთის მონაწილეობას ამ პროგრამაში. მის წარმატებით რეალიზაციას შეიძლება ხელი შეუშალოს საბერძნეთ-თურქეთის უთანხმოებამ ეგეოსის ზღვაში რამდენიმე კუნძულის სუვერენიტეტის თაობაზე. პროგრამა ითვალისწინებს ჩრდილოეთ აფრიკისა და ხმელთაშუაზღვის სამხრეთის 12 ქვეყნის დახმარებას. პროექტის პირობების შესაბამისად 1996 წელს სუბსიდიების მოცულობა შეადგენს 900 მლნ დოლარს. ამ სახსრების გამოყენება შესაძლებელი გახდება სექტემბრიდან.

## იძულებული არიან ებრძოლონ თაღლითობას

ევროპის სადაზღვევო კომიტეტის შეფასებით, ევროპული ინდუსტრია თაღლითობის შედეგად ყოველწლიურად კარგავს 8 მილიარდ ეკიუს, რაც შესატანების 2%-ს შეადგენს.

კომიტეტის აზრით ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა ინდუსტრიის შიდა ქმედებების ზუსტი კოორდინაცია და არა ევროპული კანონმდებლობის გაუმჯობესება.

## ღრმავდება უფსკრული სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის

მსოფლიოს ჰყავს 358 მილიარდელი, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 2,3 მილიარდით მეტია ღარიბების შემოსავლებთან შედარებით, ეს უკანასკნელნი პლანეტის მოსახლეობის 45% შეადგენენ. ციფრები, რომლებიც ამოღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამით მომზადებული ანგარიშიდან – "კაცობრიობის განვითარების შესახებ 1996 წელს" – მოწმობს, რომ უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის სულ უფრო და უფრო ღრმავდება. მიუხედავად ამისა კაცობრიობის განვითარების მთავარი მაჩვენებელი ("ცხოვრების ხარისხის" ინდიკატორი) უკანასკნელ ოცდაათ წელიწადში მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში მაინც გაიზარდა. 26 მოწინავე ქვეყანას შორის საუკეთესოდაა აღიარებული კანადა, მას მისდევს აშშ-ი, იაპონია, ნიდერლანდები და შემდეგ ნორვეგია.

## ისრაელისა და ეგვიპტის კონტრაქტი

ისრაელმა და ეგვიპტემ ხელი მოაწერეს კონტრაქტს ალექსანდრიაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის შესახებ, რაც 2 მილიარდი დოლარი ჯდება. პროექტის რეალიზება განხორციელდება ერთობლივი საწარმოს მიერ, რომელსაც წარმოადგენენ ისრაელის ჯგუფი "მერხავი" და ეგვიპტელი ბიზნესმენი ჰუსეინ სალემი, რა თქმა უნდა, ევროპისა და აშშ-ის ტექნიკური თანადგომით. ახალ საწარმოში ნედლი ნავთის მიწოდება ივალდებულა ეგვიპტის სახელმწიფო კომპანიამ "ჯენერალ პეტროლეუმ".

ისრაელი და ეგვიპტე მიიღებენ ყოველწლიური პროდუქციის 30-30 პროცენტს. დანარჩენი ნაწილი კი გათვალისწინებულია ახალაღმოსავლეთისა და სამხრეთევროპის ბაზრებზე საექსპორტოდ.

## სასჯელი წყალგარეული ლუდისათვის

ბაბილონის მეფე ხამურაპის კოდექსში, რომელიც ძვ. წ.-ის II საუკუნეში იყო შედგენილი, საკმაო ადგილი ეთმობოდა ლუდის დახლის ყალთაბანდ მუშაკებს და ლუდისგამომხდელებს, რომლებიც გაბედავდნენ და ლუდის კასრებში წყალს ჩაამატებდნენ. კოდექსის თანახმად ასეთ დამნაშავეებს მათ მიერ "წაბილწულ" კასრებში ყრიდნენ და აღრჩობდნენ. სავარაუდებელია, რომ ბაბილონის ლუდი საუკეთესო ხარისხის იქნებოდა!

## "წებო" მოტეხილობისათვის

კიდევ კარგი, თუ ძვლის მოტეხილობისას მარტო თაბაშირის დადებამ იკმარა. უფრო რთულ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ლითონის ფიქსატორების გამოყენება, რასაც მძიმე და მტკივნეული ოპერაციები ახლავს თან. ამჟამად ამერიკელმა მასალათმცოდნეებმა და ქირურგებმა შეიმუშავეს პასტა, რომელიც წებოსავით აწებებს გატეხილი ძვლის ნაწილებს. ის შეჰყავთ მოტეხილობის ადგილში, სადაც რამდენიმე წუთში მყარდება. 12 საათის შემდეგ კი ბუნებრივი ძვლის სიმაგრეს აღწევს, თანაც არ აზიანებს ძვლის აღდგენით უნარს. გაქვავებული, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, გაძვალებული პასტა თანდათანობით უერთდება ძვლოვან ქსოვილს. შვეციასა და ნიდერლანდებში "წებო" უკვე გამოსცადეს ათობით პაციენტზე, რომლებსაც მძიმე მოტეხილობები ჰქონდათ.

# კროსვორდი



**მვეულად:** 1. იტალიის ტელეარხი. 2. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში, 3. პერსონაჟი რომანისა "დიდოსტატის მარჯვენა", 4. ქვეწარმავალი, 5. ცეცხლის ანადენი, 7. გამოჩენილი ქართველი კლასიკოსი, 8. რუსი კომპოზიტორი, 12. ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის დას. ნაწილში, 13. ფიფქი, 17. საქართველოს რაიონული ცენტრი, 18. დიდგვაროვანი – აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, 21. სამხრეთ აფრიკისრესპუბლიკის პრეზიდენტი, 25. პლანეტა, 26. მთათა სისტემა სამხ. ციმბირში, 30. ფულის ერთეული რუმინეთში, 31. ქუთაისის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. გამოჩენილი ქართვე[l] მწერალი, 9. ისტორიული მხარე საქართველ[ო]ში, 10. სამხედრო წოდება, 11. ჰოლანდი[ელი] ფეხბურთელი, 14. ძველებრაელი პოლიტ[იკური] მოღვაწე – წინასწამეტყველი, 15. თუთაშ[ხია]ის სახელი რომანიდან "დათა თუთაშხია", გერმანელი ფილოსოფოსი, 19. ზორბა, ბრ[ძ]... შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი. 22 ... საუკუნეების იტალიელი ასტრონომი, 23. ს... ლო შენატანი, 24. ბრინჯის კერძი, 27. ... სასანთლე, 29. თევზის წვნიანი 32. ა.შ.შ.-ის მ...


## დემოკრატიისა და განვითარების ფონდი

### ვაკანსია

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს (სიფ) ესაჭიროება რეგიონალური დირექტორი, პროექტის განვითარების დირექტორი, ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორი, მართვის საინფორმაციო სისტემების (მსს) დირექტორი სიფ-ის ერთწლიანი საცდელი პროექტისათვის. სიფ-ის საცდელი პროექტი არის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც განხორციელდება ორ რეგიონში: თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში და მიმართულია სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შემდეგ სფეროებში: წყალგაყვანილობა და კანალიზაცია, ჯანდაცვა და განათლება, გზები და კომუნიკაციები. საცდელი ეტაპის განმავლობაში სიფი შეიმუშავებს პროექტის განხორციელების პროცედურებსა და მეთოდურ სახელმძღვანელოს მსოფლიო ბანკის უფრო ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტისათვის. პროექტი ეს არის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია მოსახლეობის უნარის გაუმჯობესება თავად მართონ მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები პრიორიტეტების იდენტიფიკაციის, პროექტის მომზადებისა და წარდგენის, კონტრაქტორების შერჩევისა და მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის ჩათვლით.

### საჭირო კვალიფიკაცია

1. სით-ის რეგიონალური დირექტორი:

აუცილებელი: 1. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს მშენებელ-ინჟინრის განათლება

2. არანაკლებ ხუთი წლის სამუშაო გამოცდილება.

3. ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

### 2. სიფ-ის განვითარების დირექტორი:

აუცილებელი: 1. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს განათლება ჰუმანიტარულ ან სოციალურ სფეროში.

2. სოფლის რეგიონში ან მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება.

3. პრობლემის გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

4. ინგლისურის კარგი ცოდნა.

### 3. ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორი:

აუცილებელი: 1. ფინანსური და საბუღალტრო განათლება.

2. საყოველთაოდ მიღებული საბუღალტრო პრინციპების ცოდნა.

3. ფინანსურ პოზიციაზე მუშაობის ორ-წლიანი სტაჟი

4. კარგი მმართველობითი და ადმინისტრაციული მონაცემები

### 4. მართვის საინფორმაციო სისტემების (მსს) დირექტორი

აუცილებელი: 1. კომპიუტერული მეცნიერების ან საინჟინრო სფეროში დიპლომი.

2. ბაზური პროგრამირების გამოცდილება (Access, FoxPro და სხვა).

3. ძლიერი ორგანიზატორული მონაცემები.

4. ინგლისურის კარგი ცოდნა.

საწყისი ხელფასი იქნება 450 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ფარგლებში ლარებში.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ წარმოადგინოთ ავტობიოგრაფია ქართულ ან ინგლისურ ენაზე და მოგვმართოთ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის: ნუბარ გუცუმიანი, სოციალური ინვესტიციების ფონდი, ს. ვირსალაძის 5, ტელ/ფაქსი: 98-39-68.



გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სა-
ხელმწიფო ქონების მართვის სამი-
ნისტრო და რედაქციის შემოქმედები[თი]
კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებ[უ]-
ლია საქართველოს რესპუბლიკის
იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრ[ა]-
ციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფა[ლი]
პრესის პრინციპით.

რედაქციაში დაბეჭდილ წარმოდგენ[ილ]
წერილებში დასახელებული ფაქტებ[ის],
ციფრების, სახელებისა და გვარების
სიზუსტეზე უზრუნველყოფენ ავტორებ[ი].
დედნებში დაშვებულ შეცდომებზე
რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ
რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ
უბრუნდებათ.

ავტორებს გთხოვთ ნუ შემოგვთავაზებ[თ]
თაბახის 7 გვერდზე გრძელ წერილ[ს].
რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.08.96 წ.



პრივატიზების მაცნე

ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი: მ. ზანდუკელის ქ. №1 ტელ. 99-93-07; 29-35-90,98-35-49.

გაზეთი დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა "სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია